ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ი. დ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 02.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 135/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ /სიითი №..../

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ პ. შ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 02 ოქტომბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ი. დ.-მ და მოითხოვა ადვოკატ პ. შ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, პროფესიით არის ხელოსანი და მის გუნდთან ერთად ბინებში ასრულებს სარემონტო სამუშაოებს. 2018 წლის 08 ივლისს მას დაუკავშირდა ადვოკატი პ. შ. და შეთანხმდნენ, რომ საჩივრის ავტორი ადვოკატს გაურემონტებდა ბინას, მდებარე ქ. ბათუმში. ხელოსნებმა ბინაში არსებული ავეჯის ნაწილი გადაალაგეს იმ ოთახში, სადაც არ იგეგმებოდა რემონტის ჩატარება, ხოლო დარჩენილი ავეჯი, ადვოკატის თანხმობით, გადაიტანეს საჩივრის ავტორის კუთვნილ ავტოფარეხში სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე. მოცემული ავეჯი დღემდე იმყოფება ი. დ.-ის კუთვნილ ავტოფარეხში და არაერთი თხოვნის მიუხედავად, ადვოკატი არ უთავისუფლებს ფართს.

1.3 ადვოკატ პ. შ.-ის ბინაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა ორი თვის განმავლობაში, რა დროსაც პერიოდულად, თითქმის ყოველ დღე აკითხავდნენ ადვოკატის ოჯახის წევრები ბინას და

თვალს ადევნებდნენ მიმდინარე სამუშაოებს. 2018 წლის 08 სექტემბერს დასრულდა ბინაში სარემონტო სამუშაოები, ადვოკატმა პ. შ.-მ დაათვალიერა ბინა, შეადგინა მიღება-ჩაბარების აქტი და ი. დ.-ს გადაუხადა - 20 000 ლარი შესრულებული მომსახურებისათვის. ადვოკატის მიერ ბინის ჩაბარებიდან 10 დღის შემდეგ საჩივრის ავტორს დაუკავშირდა ადვოკატ პ. შ.-ის მეზობელი - რ. დ. და უთხრა, რომ ურეკავდა ადვოკატ პ. შ.-ის დავალებით, ბინიდან წაღებული იყო 20 000 ლარის ღირებულების ოქროს სამკაულები, ფულადი თანხა და თუ ი. დ. მათ ორ დღეში არ დააბრუნებდა, ადვოკატი პოლიციაში უჩივლებდა.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან განუმარტა რ. დ.-ს, რომ მსგავს ფაქტს ადვოკატ პ. შ.-ის ბინაში ადგილი არ ჰქონია, რის შემდეგაც სცადა ადვოკატთან ტელეფონით დაკავშირება, მაგრამ პ. შ.-მ არ უპასუხა. რამოდენიმე დღის შემდეგ საჩივრის ავტორი დაიბარეს ქალაქ ბათუმის პოლიციის სამმართველოში და შეატყობინეს, რომ პ. შ.-ს მისი მისამართით შეტანილი ჰქონდა საჩივარი და დაწყებული იყო გამოძიება - 20 000 ლარის ღირებულების ოქროს სამკაულებისა და ფულის ქურდობის ფაქტზე.

1.5 ი. დ.-ის განმარტებით, საეჭვოა ადვოკატის ოჯახს ბინაში დაეტოვებინა დიდი ოდენობის თანხა ან ოქროს ნივთები მიმდინარე რემონტის დროს. ი. დ.-ს არასდროს ჰქონია შეხება სამართალდამცავ ორგანოებთან და მისი შეფასებით, ადვოკატის მხრიდან უდანაშაულო ადამიანისთვის დანაშაულის დაბრალება არაეთიკური საქციელია. გარდა ამისა, ადვოკატი პ. შ. თითქმის ყოველ მეორე დღეს უგზავნის საჩივრის ავტორს შეურაცხმყოფელ მოკლეტექსტურ სატელეფონო შეტყობინებებს ნომრიდან xxx xx xx xx და უწოდებს ქურდს, სოფლელს, ჩამორჩენილს და ა.შ.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა პ. შ.-მ 2018 წლის 10 ოქტომბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც განაცხადა, რომ საჩივრის ავტორის - ი. დ.-ის მიერ მისი მისამართით შემოტანილ საჩივარში წარმოდგენილი პრეტენზიების განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში და კომისიამ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება მოცემულ საჩივარზე. ადვოკატს საჩივრის ავტორთან, როგორც ბინის მეპატრონეს, აკავშირებდა ნარდობის ხელშეკრულება და არ ასრულებდა საადვოკატო უფლებამოსილებას. მოცემული დავა წარმოიშვა კერძო პირებს შორის და არ ეხება ადვოკატ პ. შ.-ის პროფესიას.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ი. დ.-ს მან დაუკვეთა კაპიტალური სარემონტო სამუშაოების ჩატარება მის კუთვნილ ბინაში და გადასცა ბინის გასაღები. სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ადვოკატის ოჯახის წევრებმა აღმოაჩინეს, რომ ბინიდან მოპარული იყო საერთო ჯამში - 20 000 ლარის ღირებულების ძვირფასეულობა და თანხა. ადვოკატის დედა - ნ. ჭ. დაუკავშირდა ი. დ.-ს და გააფრთხილა, რომ მოპარული თანხა დაებრუნებინა უკან, რაზეც ამ უკანასკნელმა ბოდიში მოუხადა და სამი დღის შემდეგ ადვოკატის მეუღლეს - ნ. ბ.-ს გადასცა 200 ლარი. მომხდარი ფაქტის აღმოჩენის შემდეგ, ადვოკატი დაუკავშირდა აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს და დაიწყო გამოძიება ქურდობის ფაქტზე. ადვოკატმა - პ. შ.-მ და ადვოკატის დედამ გამომძიებელს განუცხადეს, რომ ეჭვი ჰქონდათ ი. დ.-ის მიმართ, რის შემდეგაც გამოძიება დაინტერესდა ამ უკანასკნელით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 პ. შ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №..../, სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ წევრობა არ აქვს შეჩერებული, ასევე არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.

3.2 ი. დ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2018 წლის 02 ოქტომბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა - 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზიები გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა პ. შ.-მ უსაფუძვლოდ დააბრალა მას მისი კუთვნილი ბინიდან სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს თანხის და ძვირფასეულობის მოპარვა; ადვოკატი უგზავნის საჩივრის ავტორს შეურაცხმყოფელ მოკლეტექსტურ სატელეფონო შეტყობინებებს და უწოდებს ქურდს, სოფლელს, ჩამორჩენილს.

5.2 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად: „ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში“. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით - „ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ კანონის მე-5, მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისთვის“. ადვოკატის წინააღმდეგ საჩივრის ეთიკის კომისიის მიერ განხილვის წინაპირობაა როგორც ის ფაქტი, რომ მოპასუხე ადვოკატი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი უნდა იყოს, ასევე ის გარემოებაც, რომ სადავო მოქმედება უნდა უკავშირდებოდეს მის პროფესიულ საქმიანობას, სადავო მოქმედებით ადვოკატი შესაძლოა არღვევდეს პროფესიული საქმიანობის იმ სტანდარტებს, რომელიც მას აკისრია კლიენტებთან, კოლეგებთან, სასამართლოსთან ან პროცესის სხვა მონაწილეებთან მიმართებით.

5.3 ი. დ.-ის საჩივარი მიმართულია ადვოკატ პ. შ.-ის წინააღმდეგ, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში მხარეებს შორის არსებულ ურთიერთობაში პ. შ. არ ასრულებდა პროფესიულ ფუნქციას და იგი წარმოდგენილი იყო, როგორც კონკრეტული მომსახურების დამკვეთი. დისციპლინურ საქმეში მხარეების მიერ წარმოდგენილ ახსნა-განმარტებებში არსებული ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ საჩივრის ავტორსა და ადვოკატ პ. შ.-ს შორის წარმოშობილი ურთიერთობის საფუძველი იყო მათ შორის ზეპირი ფორმით დადებული ნარდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ი. დ.-მ ადვოკატის კუთვნილი ბინა გაარემონტა, ხოლო თავის მხრივ ადვოკატმა პ. შ.-მ მას გადაუხადა შესრულებული სამუშაოს საზღაური. ადვოკატის შეფასებით, მან გარემონტებული ბინიდან დაკარგა გარკვეული ოდენობის მოძრავი ქონება,

განაცხადა შესაბამის ორგანოში და ი. დ.-ის პრეტენზიებიც ადვოკატის მიმართ ამ ურთიერთობიდან წარმოიშვა. საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატმა პ. შ.-მ უსაფუძვლოდ დააბრალა მას მისი კუთვნილი ბინიდან სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს თანხის და ძვირფასეულობის მოპარვა, ასევე ი. დ. დავობს ადვოკატის მიერ მისთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაზე, როდესაც უწოდებს ქურდს, სოფლელს, ჩამორჩენილს და ა.შ. ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ი. დ.-ისა და პ. შ.-ის ურთიერთობაზე არ ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, ვინაიდან ეს ურთიერთობა და მისგან წარმოშობილი პრეტენზიები არ ჯდება ადვოკატ პ. შ.-ის საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში. ეთიკის კომისია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს ადვოკატ პ. შ.-ის ქცევა ი. დ.-ის მიმართ, რადგან კომისია აფასებს მხოლოდ პროფესიულ ქცევას, ამ შემთხვევაში კი სახეზეა ორ კერძო პირს შორის დავა, რომელზეც მიმდინარეობს გამოძიება. აქედან გამომდინარე, კომისიის შეფასებით, მოცემულ საქმეზე უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება იმ მოტივით, რომ ეთიკის კომისიაში შემოტანილ საჩივრში ი. დ.-ის დაყენებული პრეტენზიების განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' მე-9 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე 135/18 ადვოკატ პ. შ.-ის მიმართ /სიითი №..../ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/